

Feminism, Post-feminism and Postmodern Feminism Reflections in Contemporary Georgian Poetry

ფემინიზმის, პოსტფემინიზმისა და პოსტმოდერნისტული
ფემინიზმის რეფლექსიები მიმდინარე ქართულ
პოეზიაში

Nino Gogiashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University
(Georgia)

ნინო გოგიაშვილი
იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(საქართველო)

Abstract:

The purpose of this study is to consider the manifestations and signs of feminism, post-feminism and postmodernist feminism in current Georgian poetry. In addition, according to the analysis of the viewpoints of Georgian classicists, feminism is confirmed as an ideology of the women's rights and equality with the men, generally regarded as an issue for most of the Georgian scholars. Therefore, feminism declared in the current poetic texts, with its changes, is a kind of reflection, as referring to the same item and self-determination.

Literature is the best space for reflecting and provoking any socio-cultural formation and oscillation. Accordingly, the literary texts constitute the most reliable, honest, and time-sustainable fictional "tractates" of such changes. The third wave of feminism, appearing at the turn of the XX-XXI centuries, based on the post-modern, post-structural and post-colonial theories, conducts the revision of feminism and looking at it from a new perspective. The third wave feminists attempt to achieve their goals through the cultural activities and declare their messages in such a form.

Post-feminism, which provides understanding of the achieved results with the help of-feminist movement and, meanwhile, it means looking at feminism not from anti-feminism, but from a different angle, is considered as fully antifeminist by its critics.

In addition to actively responding to women's discrimination, post-modern feminism defines that a society consists of not women and men, but of the human beings. Different groups may be formed based not on their sex and gender affiliation, but other similar features and viewpoints; therefore, women will not be able to realize themselves just by means of one – women's voice. Similar tendencies have been reflected in the contemporary Georgian literature as well too, including poetry. It is noteworthy that nowadays there is an unprecedented large number of female writers in Georgia, literary representation of who is seen with different topics, discourses and positions.

Research materials, provided in the suggested study are the texts of the contemporary Georgian poets. The presented materials have been researched on the basis the hermeneutic, analytical and comparative methods.

Keywords: Feminism, Post-feminism, Contemporary, Georgian, Poetry

საკვანძო სიტყვები: ფემინიზმი, პოსტფემინიზმი, მიმდინარე, ქართული, პოეზია

მოცემული კვლევის მიზანია, მიმდინარე ქართულ პოეზიაში განვიხილო ფემინიზმის, პოსტფემინიზმის და პოსტმოდერნისტული ფემინიზმის გამოვლინებები და ნიშნები. ასევე, ქართველი კლასიკოსების ნააზრევის ანალიზის მიხედვით, დავადასტურო, რომ ფემინიზმი, როგორც ქალთა უფლებების აღიარების და მამაკაცებთან თანაბარუფლებიანობის იდეოლოგია, ქართველ მოაზროვნეებში, ზოგადად, აქტუალური თემაა; აქედან გამომდინარე, მიმდინარე პოეტურ ტექსტებში დეკლარირებული ფემინიზმი, მისი მიმართულებებით, ერთგვარი რეფლექსიაა, როგორც იგივესთან მიბრუნება და თვითგამორკვევა.

„Feminist social constructionism argues that science does not reflect or mirror reality but rather creates reality, so researchers (and their social locations) are inherently part of constructing that knowledge.

Seeking an objective truth/reality is rejected as an impossible goal; instead, truths are relative and dependent on who is doing the asking and from what social location(s)“ (Wigginton & Lafrance, 2019, p. 5).

მოცემული მოხსენების საკვლევი მასალა თანამედროვე ქართული პოეტური ტექსტებია. წარმოდგენილი მასალა გამოკვლეულია ჰერმენევტიკული, ანალიტიკური და შედარებითი კვლევების მეთოდების საფუძველზე.

ლიტერატურა ნებისმიერი სოციო-კულტურული ფორმაციის, რხევის ასახვისა და პროვოცირების საუკეთესო სივრცეა. შესაბამისად, ლიტერატურული ტექსტები ქმნიან ამგვარი ცვლილებების ყველაზე სანდო, გულწრფელ და დროის მიმართ მდგრად ფიქციურ „ტრაქტატებს“.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე არსებული ფემინიზმის მესამე ტალღა, რომელიც პოსტმოდერნისტულ, პოსტსტრუქტურალისტურ და პოსტკოლონიურ თეორიებს ეყრდნობა, ფემინიზმის რევიზიასა და მის ახლებურ დანახვას ახდენს. მესამე ტალღის ფემინისტები ცდილობენ, კულტურული აქტივობების მეშვეობით მიაღწიონ მიზნებს, და მათი შეტყობინებების დეკლარირება ამგვარი ფორმით მოხდეს. ჩვენი დროის ფემინიზმი, თავისი მოდიფიკაციებით, ხშირად განსხვავებული მგრძნობელობებით მანიფესტირდება. „*The new cultural visibility of feminism includes many versions of feminism – some of which are antithetical to each other*“ (Gill, 2016, p. 2). პოეზია კულტურული აქტივობის ის ფორმაა, სადაც ფემინიზმი, მთელი თავისი სახეცვლილებებით, განსაკუთრებით ცხადად ვლინდება. პოეზია და პოეზიაში ასახული ფემინიზმი მძლავრი კულტურულ-საზოგადოებრივი მოცემულობაა, რაც, შესაძლებელია, გაცილებით მეტ შედეგს ტოვებდეს, ვიდრე რომელიმე იდეოლოგიურებული აქცია. ხელოვნებას აქვს უნარი, შეიჭრას ადამიანის სიღრმისეულ ემოციებში და, იდეისა თუ აქტივობის დამწერგველ სოციალურ პროდუქტად იქცეს. გამომდინარე იმ მოცემულობიდან, რომ თანამედროვე პოეზია მხოლოდ წიგნებსა და ჟურნალებში არ იკითხება, და ხელოვნების ეს დარგი გაცილებით სოციალიზებული გახდა, თუ დავიმოწმებთ სოციალურ სივრცეებს, პოეტური პერფორმანსებისა და საღამოების სიხშირესა და აქტუალობას, პოეზიის მეტაფორული და მეტონიმიური „საყვირიც“ უფრო ადვილად გასაგონი და ხმამაღალია. თანამედროვე ქალი პოეტები (და არა

მხოლოდ ქალი პოეტები), სხვა ყველა საგულისხმო საკითხთან ერთად, წერენ ქალთა პრობლემებზე და მის დამანგრეველ კვალზე არსებულ დროში. ისინი საუბრობენ არა მხოლოდ სუბიექტური ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ, ზოგადად, ქალების უფლებების დასაცავად იღვწიან.

„In this postfeminist age of individualism, materialism and consumer culture, we need very robust analyses of agency and of resistance and subversion. Feminism is not simply about an individual woman choosing how she will live her life, and it is not sufficient to claim that an individual's intention to resist and subvert dominant power structures or societal conventions equates to feminist resistance and subversion“ (Coleman, 2009, p.11).

თანამედროვე ქართველი პოეტი რუსუდან კაიშაური (2010), ლექსში – „დაღლილობა“, წერს: *„ქალი ვარ, /ყველაზე ბუნებრივად/ დაღლილობისკენ მივდივარ“...* ხმლებადმართულ მაყრებს შორის ჩავლილი პატარძლის ბედნიერი წუთებიდან, ამ პატარა ლექსის სიუჟეტი იმგვარად ვითარდება, რომ „ნეფემ ვერ გაუძლო“, პატარძალმა კი „მარტოობის აქცია“ წამოიწყო: *„თვითონ გავტეხე თეფში,/თაფლი-თაც ჩავიტკბე/მჟავე ხასიათი./სარეცელთან დაღლილობა მელოდა,/მომეხვია და საწოლზე წამომაქცია“* (კაიშაური, 2010).

ქალი, რომელსაც მოლოდინი უცრუვდება, თვითონ ითავსებს მამაკაცის ფუნქციას, რომლის ერთადერთი რეზულტატიც დაღლილობაა – შინაგანი გამოფიტვა; მის მარტოობასაც აქციის ანუ პროტესტის ფორმა აქვს, რადგან ეს არ არის ღირიკული გმირის ბუნებრივი მდგომარეობა. მეუღლე ოჯახის უღლის ტარებისგან ითავისუფლებს თავს, და რჩება ქალი – ორმაგი ტვირთით. ცხადია, რომ ქალის მოლოდინები ქმრისადმი, როგორც „ოჯახის ბურჯის“ სოციალური მოდელის ანარეკლისადმი, იმსხვრევა. ქალი ფრუსტრირებული და ნირწამხდარია, რადგან ის ოჯახის ინსტიტუტისგან სხვა დივიდენდებს მოელოდა. თანამედროვე ქართველი პოეტი მაია სარიშვილი (2012), ლექსში – „ცოლი“ წერს: *„ცოლი/მოწყვეტილი ყვავილივითა დგას/წყალწყალა ქმარში“*. ამ სტრიქონებშიც, ლექსის ღირიკული გმირის უსაშველო, გაუნელებელი ტკივილი იკითხება: რა ქნას სოციალური ქცევის ნორმებს დაქვემდებარებულმა ქალმა, რომელიც „გათხოვდა“ (და ეს სიტყვა ზუსტად ასახავს ოჯახის ინსტიტუტის საზოგადოებაში

მიღებულ, დამახინჯებულ მნიშვნელობას), მოწყვეტილი (საკუთარ თავს მოწყვეტილი) ყვავილის მეტაფორით განსხეულდება, მაგრამ ოჯახი („წყალწყალა ქმრით“ გამოხატული ჩარჩო) ვერ აძლევს „ნიადაგის“ ეკვივალენტურ საკვებს; აბსოლუტურად უიმედო მდგომარეობა, რომელიც ამ ლექსი-მეტაფორით ვლინდება, ყვავილის (ქალის) სულ მალე დაჰქნობის სევდიან მოლოდინს აღუძრავს მკითხელს.

თანამედროვე პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო სახე – ლია სტურუა, ლექსში – „ამ ქალს თვალებში/მეტასტაზების ტოტები უჩანს, / როგორც ფანჯარაში, / ლაპარაკზე ბორკილი ადევს, / შიში მუცლის ძირიდან მოდის, / ბორკილი – თავიდან, / აიძულებს საგანი იყოს საგანთა შორის“... (სტურუა). ლექსიდან იმზირება აბსოლუტურად შიშად გარდაქმნილი პერსონაჟი ქალისა, რომელიც საგნად/ემოციად ქცეულა იმის გამო, რომ „ლაპარაკზე ბორკილი ადევს“... (სტურუა). რა შემთხვევაში შეიძლება ვერ(არ) ლაპარაკობდეს ქალი?! როდესაც სირცხვილია, მიუღებელია სოციუმისთვის ან პატრიარქალურ საზოგადოებაში მყოფი ქალის „პატრონისთვის“ (ქმარი, მამა, ძმა, ბიძაშვილი და ა.შ.) ცხოვრებისეული დეტალების, პრობლემების, შიშებისა და საფრთხეების აფიშირება. ქალის თავისუფლება და ფუნქციები იზღუდება არსებულ გარემოში და, შესაბამისად, ვიღებთ „საგანთა შორის საგანს“, რადგან არ არის „სიტყვა მათი გამომხატველი“ (სტურუა). ქალთა დისკრიმინაცია, რაც ჩვენი ყოფითი სივრცისთვის არსებული, მაგრამ, გარკვეულწილად, ჯერ კიდევ დასაკვალიფიცირებელი მოვლენაა, აქტიურად დეკლარირდება თანამედროვე პოეზიაში. „იმ ქალიდან გამოვიხედოთ,/რომელიც გამჭვირვალეა/გაზაფხულის ფანჯარასავით“ (სტურუა), – ლია სტურუას ეს ფრაზა თანამედროვე ფემინისტურ ლიტერატურულ ლოზუნგადაც შეგვიძლია გამოვაცხადოთ! რადგან არსად ამგვარი მაღალი რეესტრით არ მჟღავნდება ადამიანის სულის მუდმივი ლტოლვა მარადიულობისადმი, როგორც პოეზიაში, ეს სიტყვები რჩება ყველაზე გამძლე, სენსიტიურ და მიმზიდველ ფემინისტურ გამოხატულებად.

პატრიარქალურ საზოგადოებაში, ქალს შესაბამისი ქცევების მოდელი ეძლევა საკოორდინაციოდ; იყოს მორჩილი, უმწეო და მომთმენი. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქტიურდება სტიგმა და ქალი სოციუმის კონტექსტიდან ამოგლეჯილ პერსონად განიხილება. საქართველოში, ბოლო დროს გახშირებული თუ ამჯერად ზედაპირზე ამოტივტივებული ფემიციდის ფაქტები შემზარავი და საგანგაშოა. ქალი ცდი-

ლობს, დაიბრუნოს დაკარგული თავისუფლება და ოჯახის სტატუს-კვო არ ანაცვალოს ნამდვილ ადამიანურ ღირებულებებს. საზოგადოებაში აბსოლუტური პოლარული უკუგებით მიღებული ქალისა და მამაკაცის თავისუფლება პოეზიაშიც ისახება. ინტიმური ურთიერთობა ქალისთვის, ხშირად, დამღის ტოლფასია, დამანგრეველი, რადგან ის მსხვერპლად აღიქვამს თავს. ცხადია, ამგვარ მდგომარეობას მის გარშემო არსებული სოციალური დრესკოდები და კლიშეები განაპირობებს. თანამედროვე ქართველი პოეტი ნატა ვარადა (2023), ლექსში – „ნაქარგი“ წერს: *„მშვილდისარივით მოჭიმული/შენი სხეული./მე კი ობობა მიხატულ მუცლით – / ნადირობ“*. ან კიდევ, ლექსში „შრამები“ ვკითხულობთ: *„შენი ტუჩების ნაკვალევი – / ჩემი ხერხემლის მალეების დამღა“* (ვარადა, 2023). ორივე შემთხვევაში, ურთიერთობების განმსაზღვრელი მეტაფორების კონოტაციური პლანი დამღას, მსხვერპლს და უმწეობას მოიაზრებს. ქალი თავისუფალი სექსუალური ურთიერთობის დროს „დაზარალებულია“, რადგან მას საზოგადოება ნეგატიურად აფასებს. *„უკვე ვიცოდი, დიდი ხანი იყო თან, ის დადიოდა, ქალიდან ქალთან და ჩემ სახელს ხმამაღლა იძახდა შუალამის თქორში. ხან ახსენებდა კარგ გოგოს, რომელსაც ჰქონდა სოფლელივით სუფთა გული, ხან კი კაპასობდა, ორკაპა ენას გარეთ ყოფდა და იგესლებოდა: ბოზიო, ბოზი. უკანასკნელი“* (ვარადა, 2023), – ნატა ვარადას ამ სტრიქონებში ჩანს მთელი ის დრამატიზმი, რაც ქალის დაუცველობას ადასტურებს. ხოლო მამაკაცი, იგივე საზოგადოებაში, იგივე ქცევას სხვაგვარად განახორციელებს – როგორც მასკულინიზმის უაპელაციო მონაპოვარს. *„მამრმა იყივლა, ქალი მიწდაო, განა მრუშობაო, მივიდა მის ძახილზე ქალი, სავსე მკერდით და მისაღებად მწიფე საშოთი – კაცი ზურგით დადგა“*, – წერს ნატა ვარადა (2023), ლექსში – „მარშები“.

საქართველოში ფემინისტური იდეების მხარდამჭერებად და გამავრცელებლებად ჯერ კიდევ ილია, ვაჟა და სხვა განმანათლებლები მოგვევლინნენ. მათი პუბლიცისტური წერილები გაჯერებულია ქალთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის ნარატივით. *„არც ის უთავბოლო ფრაზებია იმაზედ თუ, – დედაკაცს ქვეყანაზედ მარტო სამი „უწმინდაესი, უსამღვთოესი დანიშნულება“ აქვსო: დედობა, ცოლობა და დობა, თითქო ყველაზედ უწინარეს იგი იმავე ადამიანად არ იყოს გაჩენილი, როგორც მამაკაცი, და, მამასადამე, მინამ დედობას, ცოლობას, დობას იკისრებდეს, ყველაზედ უწინარეს იგივე ადამიანობა არ მოეთხოვებოდეს, როგორც მამაკაცს“*, – წერს ილია ჭავჭავაძე (1957, გვ. 330). *„ამიტომ საჭიროა, ყოველი დედა იყოს განათლებული, განვითა-*

რებული, რათა შინ ოჯახში და გარედ საზოგადოებაში სთესდეს თესლს კეთილისა“, – წერს ვაჟა-ფშაველა (1961, გვ. 302). საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1919 წელს ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნებში, ხუთმა ქალმა გაიმარჯვა. ეს ის დროა, როდესაც სრულიად მსოფლიოს ქალები იბრძვიან საკუთარი ელემენტარული (მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის) უფლებების დასაცავად, რაც, შემდგომში, სუფრაჟისტული მოძრაობის საფუძველზე მიიღწევა. ამ პერიოდამდეც, ქართველებს გვაქვს „ოქროს ხანის“ რუსთაველისეული უნიკალური აფორიზმი, რომელიც ქართული ფემინიზმის კლასიკურ ლიტერატურულ დევიზადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ: „ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ (რუსთაველი, 1983, გვ. 40). ცხადია, რადგან წარმოიშვა რაღაც თეზის მტკიცების სურვილი აფორიზმად, საზოგადოებაში უკვე არსებობდა მისი ანტითეზა. „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევრების აზრით, მოცემული სტრიქონები თამარსა და მისი გამეფების ამბავზეა შექმნილი, და ამ აფორიზმში, გენდერული თანასწორობის ნაცვლად, მხოლოდ მონარქიული ოჯახის, მაღალი სოციალური კლასის წარმომადგენელთა სქესურ ბალანსსა და თანასწორობაზეა საუბარი. თუნდაც დავადასტუროთ ამ ვერსიის მართებულობა, მაინც ქალის დისკრიმინაციის პრობლემა იკვეთება, რისი საფუძველიც არსებული გენდერული კლიშეა. ჩვენ ვერ გვექნება ზუსტი მტკიცებულება ავტორის ჩანაფიქრისა, თუმცა, ტექსტის ჰერმენევტიკული კვლევა გვამღევს საშუალებას, მოცემული აფორიზმით სქესთა შორის არსებული დისბალანსის დაბალანსების იდეაზე ვისაუბროთ.

საქართველოში დღესაც აქტუალურია დისკურსი ქართველი ქალის კულტის შესახებ; კერძოდ, საქართველოში ქალი მუდმივად ფასადურად დაფასებულია მამაკაცის მხრიდან (მას ხელზე ეამბოროებიან, მანქანის კარს უხსნიან/ეტლში ჩაჯდომაში ხელს აშველებდნენ და ა.შ.), თუმცა, პატრიარქალურ საზოგადოებაში, ქალი ამგვარი პატივისცემის ღირსი რომ გახდეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რომელსაც ეს სოციუმი უწესებს: უნდა იყოს მამაკაცის მორჩილი, უინიციატივო, სექსუალურად თავშეკავებული და ა.შ. ჩვენი ამჟამინდელი ყოფის ზედაპირზე ისევ დევს გენდერული დისბალანსის მაგალითები და მისი სავალალო შედეგები: ოჯახის ინსტიტუტი თანდათან ფუნქციას კარგავს, ქალები აგრესიულ ქმრებს ფიზიკურად ეწირებიან, ან, თავისუფლების მოპოვების სახელით, უკიდურეს კვაზი-თავისუფლე-

ბას მიმართავენ; სამწუხაროდ, დაზარალებულები რჩებიან ბავშვები – დანგრეული ფსიქიკითა და ლაბილური ნერვული სისტემით.

ყოველივე ეს აისახება თანამედროვე ქართულ პოეზიაში, ისევე, როგორც გასული საუკუნის შუა პერიოდში – ევროპელი და ამერიკელი ფემინისტი ქალი პოეტების (სილვია პლათი, ენ სექსტონი, მაია ანჯელოუ და სხვები.) ლექსები ყვებოდნენ ქალის პრობლემებზე. გაცილებით რთულია ისლამურ ქვეყნებში ქალის უფლებებზე საუბარი, რადგან, ისინი, არასეკულარულ სახელმწიფოში რელიგიური თვალსაზრისითაც დაუცველები არიან. ქალის „მეორადი“ ფუნქცია, პატრიარქალურ სამყაროში, მისი რეპროდუქციული შესაძლებლობით მართლდება; ათწლეულების განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ ქართველი კაცისთვის პატივდებული ქალი „მისი შვილების დედა“, ან „კარგი ბიჭის“ და ან ცოლია. „პოზიცია: ქალი. შენ ვერ ამოირჩევ, როდის მოვლენ, როდის წავიდნენ – / გრაფიკი მუდამ მცოცავია, პროფესიონალ მუშაკების პატივსაცემად. / ბავშვის ჩასახვის ცერემონიაღს რა შეედრება, / თეთრი მუხლების მესაკუთრედ ყოფნის უფლებას? !/ შენ მხოლოდ უნდა აკონტროლო საკუთარი ფერტილურობა“, – წერს თანამედროვე პოეტი ნანა ქელეხიძე. ლირიკული გმირისთვის სიყვარული და სექსუალური ტკბობა დევალვირებულია, რადგან ის თავს მეწყვილის საკუთრებად, საგნად, ბავშვების ჩასახვის და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ პარტნიორის გვარის გამგრძელებლის საშუალებად თვლის. „ყველაფერი მაღიზიანებს, რაც პროფესიას ემსგავსება – პოეზიაც, სიყვარულიც, ადამიანიც“, – წერს იგივე ლექსში (ქელეხიძე). სხვა უსათაურო ლექსშიც აპროტესტებს მასკულიზურ მოთხოვნებს ქალის მიმართ; „ქალი უნდა იყოს საამო. ნეკნები კი არ ეთვლებოდეს – / ათქვირულ მკერდს და ნებიერ მკლავებს ანცი სიცილი უთახთახებდეს... / ეს ზიზღნარევი სიტკბოებაც რა სირცხვილია, / თითქოსდა კედლებს შეესია ათასობით კალია, ანდა / საწოლის ქვეშ ჭრიჭინების გუნდი ჭრიჭინებს. / ან რას ელოდი? ქალი უნდა იყოს ქალივით“ (ქელეხიძე). მამაკაცური ძალის უხეში დომინაცია წარმოშობს ჰიპერმასკულინიზმს, რომელიც მოიაზრებს „ტოქსიკურ მასკულიზმას“, მასკულინიზმს და მაჩოობას. ზემოთ მოყვანილ სტრიქონებში სწორედ ჰიპერმასკულინიზმის აგრესიული, დამაკნინებელი ენერგიაა გაცხადებული, რის შედეგადაც ქალის ლირიკული გმირი დევალვირებულია. შედეგად, ქალ-ვაჟური ტანდემის ნაცვლად, განხიბლული ქალი და სრულიად უცხო კაცი რჩებიან: „იქნებ თავი გადაგერჩინა, / ზურგით მდგარი უცხო კაცისგან, / ცხოვრებისაგან, ძალითაც რომ ვერ შე-

გიყვარა“ (ქელეხიძე). ეს სტრიქონები პოსტფემინიზმის გაცხადების მაგალითებია; ლირიკულ გმირს ცოლის სტატუსი არ აკმაყოფილებს, მას სურს დატკბეს ამ სტატუსით, თანასწორუფლებიანი და ჰარმონიული ურთიერთობით.

ჰიპერმასკულინიზმი მხოლოდ წყვილის ურთიერთობაში არ მჟღავნდება. ტირანი „ოჯახის უფროსები“, ხშირად, დიდ დაღს ასვამენ ოჯახის წევრებს. თანამედროვე ქართველი პოეტი ლია ლიქოკელი (2014), ლექსში – „...*(მე პაპაჩემი მძულდა)*“, რომელმაც მკითხველის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, საუბრობს ლირიკული გმირის პაპაზე, რომელიც საძულველია: *„მე პაპაჩემი მძულდა და მინდოდა, მომკვდარიყო“*. და, ამ ლექსშივე, ამ ზიზღის კვალიფიკაციას ახდენს: *„და მე ვფიქრობდი, რომ ეს სიძულვილი არის ჩემი ჯოჯოხეთი“* (ლიქოკელი, 2014). ეს ტექსტი თითქოს ეხმიანება სილვია პლათის ძალიან ცნობილ ლექსს „მამილო“. სახეზეა დაუფარავი აგრესია ოჯახის უფროსი მამაკაცის მიმართ და ამ აგრესიის დამანგრეველი ტალღა, რაც მთლიანად ანადგურებს მოზარდის მყიფე ფსიქიკას.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში, ქალთა უფლებების დასაცავად აქტიურად იბრძოდნენ და იღვწოდნენ ქართველი ფემინისტი ქალები, ბარბარე ჯორჯაძის, ეკატერინე გაბაშვილის და კატო მიქელაძის მეთაურობით. ბარბარე ჯორჯაძე წერილში „ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ“ „ქალთა საკითხის“ შესახებ წერს (1988, გვ. 141): *„ჩვენმა იესო ქრისტემ ბრძანა: არა არს გარჩევა არცა მამაკაცთა და არც დედაკაცთაო. მაგრამ რა წრესაც პირველად დაადგა კაცი, იმ წრის გადაცილება რჯულის გარდამავლობად მიაჩნდა“*. ფემინისტი ქალი ისევ საზოგადოებაში მიღებული რელიგიური დისკურსით ცდილობს გენდერული თანასწორობის იდეის მტკიცებას.

თანამედროვე ქართველი პოეტი თეა თოფურია ლექსში „ძვირფასო, ჩემო“... წერს: *„მას შემდეგ სულ ვტირი / და ვხვდები, რომ ქალებს და ბავშვებს / ტირილისთვის ერთი მიზეზი აქვს“*. მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იზრდებიან. იზრდება და ძვალდება ის ადამის ნეკნი, რომლისგანაც ქალი შექმნა ღმერთმა, და ეს რელიგიით დეტერმინებული ქალურობა მამაკაცის მიუღებლობად (ან, მამაკაცისთვის მიუღებლად) ტრანსფორმირდება. *„ძვირფასო, ჩემო, / ადრე უნდა შემხედროდი. / როცა ჯერ კიდევ ნეკნი ვიყავი, / როცა ჯერ კიდევ ჩაგეტეოდი გულთან. / ახლა რაღა დროსია, / ძვალი ვარ, / ცხოვრებისთვის სახრავად მიგდებული, / რაღას მოძებნი პატარა ნეკნს სრულ-*

ყოფილ ჩონჩხში“... (თოფურია) მეტაფორების გახსნით ვეჭახებით სავალალო რეალობას; რომ მხოლოდ ნეკნის (ანუ ადამის ნაწილის) ამპლუაში შეუძლია ქალის მიღება მამაკაცს, „გამვალებული“ (დასრულებული, სრულყოფილი) ქალი კი არაშეთავსებადია მისთვის. მოცემულ სტრიქონებში პოსტმოდერნისტული ფემინიზმი იკითხება, და ცხადდება ლირიკული გმირის ზესქესური კონდიცია, – ის, უბრალოდ, ადამიანია და სქესურ კლასიფიკატორს გვერდს უვლის.

ცხადია, მახსენდება ლილიტი, ადამის პირველი ცოლი ებრაული მითოლოგიის მიხედვით, რომელიც ვერ ეთვისება ქმარს, მიდის მისგან და ბოროტ ძალად გარდაიქმნება. ლილიტი მითოლოგიური ფემინისტური პერსონაჟია, რომელიც სწორედ ამგვარი დატვირთვით განსხეულდება პოეზიაშიც. მისი თავისუფლების ხარისხი კაცის სიყვარულზე აღმატებულია, ამგვარად, ის არ არის მისი ნაწილი (ნეკნი). ევა და ლილიტი თვისობრივად კარდინალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ქალის ძირითადი ფსიქოლოგიური ტიპების ემბრიონებად ფორმირდებიან. თანამედროვე ქართველი პოეტის რატი ამალლობელის ლირიკული გმირი ლილიტს ეტრფის, რადგან ის აოგნებს მას და „შორეული ქალის“ სიმბოლოდ აღიქმება: „შენ ისევ ჩემი გაოგნება/გნებავს და გწადს,/როცა ცას ველი საოცარს“. (ამალლობელი) ეს ის შემთხვევაა, როდესაც მამაკაცი ლირიკული გმირი ქალში თავისუფალი სულითაც იხიბლება და თავისგან დამოუკიდებელ ინდივიდად აღიქვამს მას.

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნებას სქესი არ გააჩნია, დღეს საქართველოში აქტუალურია ქალ მწერალთა ანთოლოგიები, რასაც ვერ ვიტყვით მამაკაცი მწერლების შემთხვევაში. ერთ-ერთი მათგანია ქართველ ქალთა თანამედროვე პოეზიის ბილინგვური (ქართულ-ინგლისური) ანთოლოგია „ვათავისუფლებ“, რომლის მხოლოდ სახელწოდებაშიც კი ფემინისტური კოდი იშიფრება, ტექსტებზე რომ არაფერი ვთქვა. მოცემული ანთოლოგიის შესახებ, ერთ-ერთ კონფერენციაზე წარმოდგენილი მაქვს მოხსენება, სათაურით: „ქართველ ქალ პოეტთა ფემინისტური პოეზია, ბილინგვური კრებულის – „ვათავისუფლებ“ – მიხედვით“. წიგნში წარმოდგენილი ტექსტების უმეტესობა ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ და მათი უფლებებისათვის ბრძოლის თემებს ეხება; იგულისხმება, როგორც სოციუმსა და ოჯახში ქალთა უფლებების დაცვა, ასევე, თვითგამორკვევა და თვითრეფლექსია, რათა ქალი დაზარალებულის პოზიციაში არ იმყოფებოდეს. ანთოლოგიიდან მოვიყვან ციტატას პოეტ ირმა ბერიძის ლექსიდან –

„სიკვდილი ლიმონათის ქარხანაში“, სადაც სულისშემძვრელ ისტორიას ვკითხულობთ, ლიმონათის ქარხნის მოძალადე მფლობელისა და ქარხანაში დასაქმებული გოგოს შესახებ; გოგო ბოთლების მრეცხავად მუშაობს იმისთვის, რომ ფიზიკურად გადარჩეს: „ყოფნა – არა, სიკვდილი იყო უფანჯრებო, ტკბილსუნიან ლიმონათის ქარხანაში“ (ელერ-დაშვილი და ანდერსენი, 2019, გვ. 57).

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლო დეკადაში, ამერიკასა და ევროპაში, ზოგიერთი მეცნიერი და გენდერის ექსპერტი საუბრობს პოსტფემინიზმის მითოსურობაზე; რაც გულისხმობს, რომ ეს ტერმინი თავის რეალურ დადასტურებას ვერ პოულობს, “superwomen” და “new man” რეალურად არ არსებობენ, ქალებს კი უფრო მეტად დაუმძიმდათ ყოფა, რადგან მათთვის ძალიან რთულია საშინაო და საგარეო ვალდებულებების წარმატებით შეთავსება.

“Post-feminism’ happened without warning. It seemed to arrive from nowhere. One minute there were feminisms, identified by their diverse political standpoints and their contrasting campaign strategies, the next ... it was all over. The change, mysteriously, had happened: interpersonal relationships and institutional arrangements had stepped beyond feminism” (Coppock & Haydon & Richter, 2014, Chapter 1, p.3).

დასკვნა:

სხვადასხვა დროის პოსტფემინიზმი, რომელიც ფემინისტური მოძრაობით მიღწეული შედეგის გათავისებას და, ამავე დროს, არა ანტიფემინიზმს, არამედ, ფემინიზმის განსახვავებული რაკურსით დანახვას გულისხმობს, მისი კრიტიკოსების აზრით, სწორედან ანტიფემინისტურია. “*Postfeminism is a slippery beast. On the one hand, there is an acknowledgement of feminism’s success, while simultaneously attributing feminism’s successes not to feminist endeavour but to “a natural cultural evolution”*” (Kinser, 2004, p. 134; Coleman, 2009, p.7).

პოსტმოდერნისტული ფემინიზმი კი, გარდა იმისა, რომ აქტიურად რეაგირებს ქალთა დისკრიმინაციაზე, ადგენს, რომ საზოგადოება შედგება არა ქალებისა და კაცებისაგან, არამედ, ადამიანებისაგან. სხვადასხვა ჯგუფები, შესაძლებელია, შედგებოდეს არა მათი სქესობრივი და გენდერული მიკუთვნებულობის, არამედ, სხვა მსგავსი ნი-

შან-თვისებებისა და ხედვების საფუძველზე; ამგვარად, ქალები მხოლოდ ჯგუფური – ქალების ხმით ვერ მოახდენენ საკუთარი თავის რეალიზებას და თვითგამოხატვას.

მსგავსი ტენდენციები მიმდინარე ქართულ ლიტერატურაში, მათ შორის, პოეზიაშიც აისახა. ამ მოსაზრებას ადასტურებს წინამდებარე სტატიაში მოყვანილი მაგალითები, რომლებიც მიმდინარე ქართული პოეტური ტექსტებიდანაა შერჩეული. ცხადია, მოცემულ პრობლემატიკაზე უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუმცა, მოხსენების ფორმატი ამის საშუალებას არ იძლევა.

აღსანიშნავია, რომ, მოცემულ დროში, საქართველოში, ქალ პოეტთა უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობაა, რომელთა ლიტერატურული რეპრეზენტაცია განსხვავებული თემებით, დისკურსებითა და პოზიციებით წარმოგვიდგება. თანამედროვე პოეტმა ქალებმა მოიხადეს ფსევდო-მოკრძალების მანდილი, დაბლა დახრილი თვალები პირისპირ გაუსწორეს მკაცრ და პატრიარქალურ რეალობას და გადაჭრით თქვეს უარი მეორე – კაცის დამხმარე პერსონად ქცევაზე. ფემინიზმი, პოსტფემინიზმი და პოსტმოდერნისტული ფემინიზმი მკაფიოდ აისახა მათ პოეზიაში. ფემინიზმის კულტურა და ფემინისტური მსოფლმხედველობა ქართული ხელოვნების ნიშანია, მისი თანამედროვე გამოვლინებები კი – რეფლექსია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ამაღლობელი, რ. ლექსები. რატი ამაღლობელი. ინტერნეტ-ჟურნალი „Poetry”.
<https://poetry.ge/poets/rati-amaglobeli/poems/6067.liliti.htm>
- ელერდაშვილი, ა., ანდერსენი, ბ. (რედ). (2019). ვათავისუფლებ: ქართველ ქალთა თანამედროვე პოეზიის ანთოლოგია. თბილისი: „ინტელექტი“.
- ვაჟა-ფშაველა. (1961). „ქალთა შესახებ“ (პასუხი „სახალხო გაზეთის“ ანკეტიკა).
ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ვარადა, ნ. (2023). ლექსები. ნატა ვარადა. არმური – ლიტარენა, უფრო კი – ბიბლიოთეკა. 20 იანვარი.
<https://armuri.georgianforum.com/t167p25-topic?fbclid=IwAR3sobmzCczyWTSOpN8lz5-dOACLIKFAUsmd7rXgx44ywHLaCt4AKpbwvJs#17940>
- თოფურია, თ. ლექსები. თეა თოფურია. ინტერნეტ-ჟურნალი „Poetry”.
<https://poetry.ge/poets/tea-topuria/poems/6032.dzvirphaso-chemo.htm>
- კაიშაური, რ. (2010). პოეზია. რუსუდან კაიშაური – ლექსები. საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „არილი“. 15 ნოემბერი.

<http://arilimag.ge/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%94/>

ლიქოკელი, ლ. (2014). „მე პაპაჩემი მძულდა“ და სხვ. ლექსები. საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „არილი“. 15 ოქტომბერი.

<http://arilimag.ge/%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%94-%E1%83%9F%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98/>

რუსთაველი, შ. (1983). აფორიზმები. თბილისი: „მეცნიერება“.

სარიშვილი, მ. (2012). ლექსები. მაია სარიშვილი. არმური – ლიტარენა, უფრო კი – ბიბლიოთეკა. 5 დეკემბერი. <https://armuri.georgianforum.com/t500-topic>

სტურუა, ლ. ლექსები. ლია სტურუა. ინტერნეტ-საიტი „ლიტკლუბი“.

<http://www.biblioteka.litklubi.ge/index.php?static=shesaxe>

ქელეხიძე, ნ. ახალი ლექსები. ნანა ქელეხიძე. პირველი არხის ელექტრონული ჟურნალი „ელექტროლიტი“. <https://1tv.ge/elit/akhali-leqsebi-55/2/?fbclid=IwAR0zSHBfnfeIDjjLnue2DdZ8q4VVZCzmFCj6Tn9KwEHgu24ebVXjVbf8n4>

ქელეხიძე, ნ. (2022). ლექსები. ნანა ქელეხიძე. ლიტერატურული ფორუმი „ურაკპარაკი“.

<http://urakparaki.com/?m=12&st=30&fbclid=IwAR2sxKkoVQPnnqy7pYBqV6vKztn9NMqN-zMjPqYqYdLKXMnROUPpPf7Lyk>

ჭავჭავაძე, ი. (1957). „დედათა საქმის გამო“. ილია ჭავჭავაძე. ტომი VIII. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.

ჯორჯაძე, ბ. (1988). რჩეული თხზულებანი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

Coleman, J. (2009). An introduction to feminisms in a postfeminist age. *Women's Studies Journal*. Volume 23 Number 2, November 2009: 3-13. ISSN 1173-6615 © 2009 Women's Studies Association of New Zealand Hosted at www.wsanz.org.nz/ . [WSJNZ232Coleman3-13.pdf](http://www.wsanz.org.nz/WSJNZ232Coleman3-13.pdf)

Coppock, V., & Haydon, D., & Richter, I. (2014). *The Illusions of 'Post-Feminism' – New Women, Old Myths*. Published by Routledge. 2 Park Square, Milton Park, Abingdon, Oxon OX14 4RN 711 Third Avenue, New York, NY 10017, USA. (First published 1995 By Taylor & Francis).

[10.4324 97811315041148 previewpdf.pdf](http://www.routledge.com/97811315041148/previewpdf.pdf)

Gill, R. (2016). Postfeminism and the new cultural life of feminism. *Feminist Ghosts: The New Cultural Life of Feminism*. DIFFRACTIONS. Graduate

Wigginton, B., Lafrance, M.N. (2019). Learning critical feminist research: A brief introduction to feminist epistemologies and methodologies. *Feminism & Psychology* 0(0) 1–17. Article reuse guidelines: sagepub.com/journals-permissions
DOI: [10.1177/0959353519866058](https://doi.org/10.1177/0959353519866058) journals.sagepub.com/home/fap. SAGE.
[0959353519866058.pdf](https://doi.org/10.1177/0959353519866058)

Amaghlbeli, R. Leksebi. [Poems]. Rat'i Amaghlbeli. Int'ernet'-zhurnali "Poetry".
<https://poetry.ge/poets/rati-amaghlbeli/poems/6067.liliti.htm>

Ch'avch'avadze, I. (1957). „Dedata sakmis gamo“. Tkhzulebata sruli k'rebuli at t'o-mad. T'omi VIII. ["Because of the work of mothers." A complete collection of works in ten volumes. Volume VIII]. Tbilisi: sakartvelos ssr sakhelmts'ipo gamomtsemloba.

Coleman, J. (2009). An introduction to feminisms in a postfeminist age. Women's Studies Journal. Volume 23 Number 2, November 2009: 3-13. ISSN 1173-6615 © 2009 Women's Studies Association of New Zealand Hosted at
www.wsanz.org.nz/. [WSJNZ232Coleman3-13.pdf](#)

Coppock, V., & Haydon, D., & Richter, I. (2014). The Illusions of 'Post-Feminism' – New Women, Old Myths. Published by Routledge. 2 Park Square, Milton Park, Abingdon, Oxon OX14 4RN 711 Third Avenue, New York, NY 10017, USA. (First published 1995 By Taylor & Francis).
[10.4324_9781315041148_previewpdf.pdf](#)

Elerdashvili, A., Anderseni, B. (red). (2019). Vatavisupleb: kartvel kalta tanamed-rove p'oeziis antologia. [I release: an anthology of contemporary poetry of Georgian women]. Tbilisi: „int'elekt'i“.

Gill, R. (2016). Postfeminism and the new cultural life of feminism. Feminist Ghosts: The New Cultural Life of Feminism. DIFFRACTIONS. Graduate journal for the study of culture. Issue 6 – 2016 | www.diffractions.net. [521-Article-1471-1-10-20190917.pdf](#)

Jorjadze, B. (1988). Rcheuli tkhzulebani. [Selected essays]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.

K'aishauri, R. (2010). P'oezia. [Poetry]. Rusudan K'aishauri – leksebi. Sazogadoeb-riv-lit'erat'uruli zhurnali „arili“. 15 noemberi.
<http://arilimag.ge/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%>

- 3%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%94/
- Kelekhidze, N. Akhali leksebi. [New poems]. Nana Kelekhidze. P'irveli arkhis elekt'ronuli zhurnali „elekt'rolit'i“. https://1tv.ge/elit/akhali-leqsebi-55/2/?fbclid=IwAR0zSHBfnfeIDjLnue2DdZ8q4VVZCzmFCj6Tn9Kw_EHgu24ebVXJVbf8n4 kelekhidze, n. (2022). leksebi. nana kelekhidze. lit'erat'uruli porumi „urak'p'arak'i“. <http://urakparaki.com/?m=12&st=30&fbclid=IwAR2sxKkoVQPnnqy7pYBqV6vKztn9NMqN-zMjYqpYdLKXmNROUPpPfj7Lyk>
- Likok'eli, L. (2014). „Me p'ap'achemi mdzulda“ da skhv. Leksebi. [\"I hated my grandfather\" and others. Poems]. Sazogadoebriv-lit'erat'uruli zhurnali „arili“. 15 okt'omberi. <http://arilimag.ge/%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%94-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98/>
- Rustaveli, Sh. (1983). Aporizmebi. [Aphorisms]. Tbilisi: „metsniereba“.
- Sarishvili, M. (2012). Leksebi. [Poems]. Maia Sarishvili. Armuri – lit'arena, upro k'i – bibliotek'a. 5 dek'emberi. <https://armuri.georgianforum.com/t500-topic>
- St'urua, L. Leksebi. [Poems]. Lia St'urua. int'ernet'-sait'i „lit'k'lubi“. <http://www.biblioteka.litklubi.ge/index.php?static=shesaxeb>
- Topuria, T. Leksebi. [Poems]. Tea Topuria. Int'rnet'-zhurnali „Poetry“. <https://poetry.ge/poets/tea-topuria/poems/6032.dzvirphaso-chemo.htm>
- Vaja-Pshavela. (1961). „Kalta shesakheb“ (p'asukhi „sakhalkho gazetis“ ank'et'isa). Tkhzulebata sruli k'rebuli khut t'omad. [\"About women\" (answer to \"Sakhalkho Gazeti\" questionnaire). A complete collection of essays in five volumes.]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.
- Varada, N. (2023). Leksebi. [Poems]. Nat'a Varada. Armuri – lit'arena, upro k'i – bibliotek'a. 20 ianvari. <https://armuri.georgianforum.com/t167p25-topic?fbclid=IwAR3sobmzCczyWTSOpN8lz5-dOACLIKFAUsmd7rXgx44ywHLaCt4AKpbwvJs#17940>
- Wigginton, B., Lafrance, M.N. (2019). Learning critical feminist research: A brief introduction to feminist epistemologies and methodologies. *Feminism & Psychology* 0(0) 1–17. Article reuse guidelines: sagepub.com/journals-permissions DOI: 10.1177/0959353519866058 journals.sagepub.com/home/fap. SAGE. [0959353519866058.pdf](https://journals.sagepub.com/home/fap)